ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის
საბჭოს სხდომის
ოქმი N 15
12.09.2018

ფაკულტეტის საბჭოს დღის წესრიგი:

1. ცვლილებები მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარში;
2. 1977 წლის კურსდამთავრებული თემურ იოსებაძის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების შექმნა;
3. 1965 წლის კურსდამთავრებული ლიანა ჩოხელის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების შექმნა;
4. ფსიქოლოგიისა საბაკალავრო პროგრამისთვის განკუთვნილი ახალი არჩევითი კურსის - "ფსიქოანალიზის ძირითადი ცნებები" - სილაბუსის დამტკიცების შესახებ.
5. სამაგისტრო პროგრამის „ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიური შეფასება და კონსულტირება“ სასწავლო საგანში – „ბავშვთა განვითარების დარღვევების დიაგნოსტიკა“ (შ. მამუკაძე) შეტანილი ცვლილებების დამტკიცება

სხდომას ესწრებოდნენ:

საბჭოს თავჯდომარე: ასოც. პროფესორი ხათუნა მარწყვიშვილი

ფაკულტეტის საბჭოს წევრები :

ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:

პროფესორები :

ლალი სურმანიძე, მზია წერეთელი.

ასოცირებული პროფესორები :

თამარ აბაშიძე, მაია მესტვირიშვილი, გიორგი გოროშიძე, ია აფთარაშვილი, მანანა მელიქიშვილი, ეკატერინე ფირცხალავა, ლილი ხეჩუაშვილი, ნინო ლაბარტყავა, ირინა ჟვანია, შორენა მამუკაძე.

ასისტენტ პროფესორები :

თეონა ლოდია, ირინა გედევანიშვილი

განათლების მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:

პროფესორი: ქეთევან ჭკუასელი;

ასოცირებული პროფესორი :

ზაქარია ქიტიაშვილი, იზაბელა პეტრიაშვილი; ეთერ ღვინერია

სტუდენტები:

პაატა ჯოლბორდი

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდა **სულ 20 წევრი**

ფაკულტეტის საბჭოს მდივანმა, ასოც. პროფესორმა ზაქარია ქიტიაშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ სხდომის თავმჯდომარე, პროფ. თამარ გაგოშიძე, იმყოფება კუთვნილ შვებულებაში, რაც დღის წესრიგში აყენებს კონკრეტული მე-15 ფაკულტეტის საბჭოს სხდომის თავმჯდომარის არჩევის საკითხს. მომხსენებელმა საბჭოს თავმჯდომარედ დაასახელა ასოც. პროფესორ ხათუნა მარწყვიშვილის კანდიდატურა.

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ კანდიდატურას და დაამტკიცა ერთხმად

მომხრე: 20

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

1. ცვლილებები მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარში

ხარისხის მართვის სამსახურის უფროსმა, ასოც. პროფესორმა მანანა მელიქიშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ დასამტკიცებლად წარმოდგენილია მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარში შესული ცვლილებები, რომლებიც ეხება მაგისტრატურაში მისაღები ადგილების დამატებას და გადანაწილებას.

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ ცვლილებებს და დაამტკიცა ერთხმად

მომხრე: 20

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

2. 1977 წლის კურსდამთავრებული თემურ იოსებაძის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების შექმნა;

საბჭოს მდივანმა, ასოც. პროფესორმა ზაქარია ქიტიაშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ თსუ–ის რექტორს განცხადებით მიმართა 1977 წლის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა თემურ იოსებაძემ, რომელიც ითხოვს ახალი დიპლომისა და დანართის მომზადებას. სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა ფაკულტეტს მიმართა წერილით (#15624/10, 31.07.2018), რომელშიც ითხოვენ რექტორის N55/01–01 16.04.2014წ. ბრძანების შესაბამისად დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების შექმნას თემურ იოსებაძის განცხადებასთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ფაკულტეტი ვალდებულია თემურ იოსებაძის სახელზე გასცეს ახალი დიპლომი მოქმედი ფორმით, რომელიც ითვალისწინებს აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღისა (რიცხვი, თვე, წელი) და ნომრის მითითებას.

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული წარმოება და დადგინდა, რომ:

თემური ტარიელის ძე იოსებაძე 1972 წელს (ბრძ. N4/633ა, 26. 08.1972წ.) ჩაირიცხა თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტის "ფსიქოლოგიის" სპეციალობაზე.

1977 წელს (ბრძ. N4/408, 13. 07. 1977 წ.) თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტის დღის განყოფილების კურსდამთავრებულ თეიმურაზ ტარიელის ძე იოსებაძეს მიენიჭა კვალიფიკაცია ფსიქოლოგი, ფსიქოლოგიის მასწავლებელი, სპეციალობით ფსიქოლოგია, სპეციალიზაცია ზოგადი ფსიქოლოგია.
ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1977 წლის 23 ივნისის სხდომის (ოქმი უნომრო) გადაწყვეტილებით ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტის დღის განყოფილების კურსდამთავრებულ თეიმურაზი იოსებაძეს მიენიჭა კვალიფიკაცია ფსიქოლოგი მასწავლებ. სპეციალობით ფსიქოლოგია.

საქმისწარმოებისას აგრეთვე გამოირკვა, რომ 1977 წელს აღნიშნული ბრძანებით (სპეციალიზაციით ზოგადი ფსიქოლოგია) საგანმანათლებლო პროგრამა თემურ იოსებაძესთან ერთად დაასრულა 16 სტუდენტმა (რექტორის მიერ გამოცემული N4/408, 13. 07. 1977 წ. ბრძანება აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ), მათ პირად საქმეებში არსებული დოკუმენტაციით და დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალით დასტურდება მათი სწავლების ფაქტი ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე.
წარმოგიდგენთ ზემოაღნიშნულ კურსდამთავრებულთა (არასრულ) სიას :

მიენიჭოს სათანადო კვალიფიკაცია და მიეცეს შესაბამისის დიპლომი თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტის დღის განყოფილების კურსდამთავრებულთ - კვალიფიკაცია ფსიქოლოგი, ფსიქოლოგიის მასწავლებელი, სპეციალობით ფსიქოლოგია, სპეციალიზაცია ზოგადი ფსიქოლოგია
დიპლომი წარჩინებით

1. გეგეჭკორს მანანა გიორგის ას
2. იოსებაძეს თეიმურაზ ტარიელის ძეს
3. სოლოღაშვილს ელიზავეტა მიხეილის ას
4. ჩხიკვიშვილს ლია ვასილის ას

დიპლომი ჩვეულებრივი

1. ბუაჩიძეს ნატალია თამაზის ას
2. ბრეგვაძეს მაია ბიძინას ას
3. ბახუტაშვილს ნადია ვალიკოს ას
4. გორგილაძეს რუსუდან გიზოს ას
5. ვაშაკიძეს ვერა ვლადიმერის ას
6. ზესაშვილს დავით ვახტანგის ძეს

ვინაიდან საქმის გარემოებებიდან გამომდინარე ვერ დგინდება თემურ იოსებაძის სახელზე გასაცემი ახალი დიპლომის ფორმისათვის სავალდებულო მონაცემების, კერძოდ, აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) ნომერი და თარიღი, მიზანშეწონილად მიგვაჩნია განისაზღვროს მის დიპლომში მისათითებელი სავალდებულო რეკვიზიტები.
აკადემიური ხარისხი განისაზღვროს რექტორის ბრძ N4/408, 13. 07. 1977 წ. ბრძანებაზე დაყრდნობით: კვალიფიკაცია ფსიქოლოგი, ფსიქოლოგიის მასწავლებელი, სპეციალობით ფსიქოლოგია, სპეციალიზაცია ზოგადი ფსიქოლოგია. აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) ნომრად პირობითად განისაზღვროს თემურ იოსებაძის კვალიფიკაციის

მინიჭების ბრძანების ნომერი, რომელსაც წილადის შემდეგ დაემატება ასო „პ“ (4/პ) და თარიღად ამავე ბრძანების რიცხვი, (13 ივლისი 1977). ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდება ბრძანებაში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილება განხორციელდება ინდივიდუალურად მომართვის შემთხვევაში.

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ საკითხს და დაამტკიცა ერთხმად
მომხრე: 20
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

3. 1965 წლის კურსდამთავრებული ლიანა ჩოხელის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების შექმნა.

საბჭოს მდივანმა, ასოც. პროფესორმა ზაქარია ქიტიაშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ თსუ–ის რექტორს განცხადებით მიმართა 1965 წლის ფილოსოფიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა ლიანა ჩოხელმა, რომელიც ითხოვს ახალი დიპლომისა და დანართის მომზადებას. სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა ფაკულტეტს მიმართა წერილით (N 16489/10, 10.08.2018), რომელშიც ითხოვენ რექტორის N55/01–01 16.04.2014წ. ბრძანების შესაბამისად დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების შექმნას ლიანა ჩოხელის განცხადებასთან დაკავშირებით.
აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ფაკულტეტი ვალდებულია ლიანა ჩოხელის სახელზე გასცეს ახალი დიპლომი მოქმედი ფორმით, რომელიც ითვალისწინებს აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღისა (რიცხვი, თვე, წელი) და ნომრის მითითებას.
ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული წარმოება და დადგინდა, რომ ლიანა ზაქროს ასული ჩოხელი 1960 წელს ჩარიცხულ იქნა (ბრძ.N 764, 24.081960 წ.) სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დღის სწავლების ფსიქოლოგიის სპეციალობაზე.
1965 წელს (ბრძ N339,07.07.1965 წ.) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულ ლიანა ზაქროს ასულ ჩოხელს მიენიჭა ფსიქოლოგის-ფსიქოლოგიის მასწავლებლის კვალიფიკაცია.
თსუ ფილოსოფიის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1965 წლის სხდომის ოქმები გადაცემულია საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალურ არქივში სახელმწიფო დაცვაზე.
საქმისწარმოებისას აგრეთვე გამოირკვა, რომ 1965 წელს აღნიშნული ბრძანებით საგანმანათლებლო პროგრამა ლიანა ჩოხელთან ერთად დაასრულა 8 სტუდენტმა (რექტორის მიერ გამოცემული ბრძ N339,07.07.1965 წ. ბრძანება აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ), მათ პირად საქმეებში არსებული დოკუმენტაციით და დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალით დასტურდება მათი სწავლების ფაქტი ფილოსოფიის ფაკულტეტზე.
წარმოგიდგენთ ზემოაღნიშნულ კურსდამთავრებულთა სიას :

მიენიჭა ფსიქოლოგის-ფსიქოლოგიის მასწავლებლის კვალიფიკაცია

და მიეცეთ შესაბამისის დიპლომი ფილოსოფიის ფაკულტეტის 1965 წლის შემდეგ კურსმოსმენილებს:
1. ბალავაძეს გივი მაქსიმეს ძეს

2. დოლიძეს მუხრან ჭოლას ძეს
3. მუვანიძეს ირინე დავითის ასულს
4. მურღულიას ლიანა ერასტოს ასულს
5. პაჭკორიას მიხეილ ამბროსის ძეს
6. ჩოხელს ლიანა ზაქროს ასულს
7. კარანაძეს მზექალა ლევანის ასულს
8. ჯამბერიძეს მაყვალა დავითის ასულს

ვინაიდან საქმის გარემოებებიდან გამომდინარე ვერ დგინდება ლიანა ჩოხელის სახელზე გასაცემი ახალი დიპლომის ფორმისათვის სავალდებულო მონაცემების, კერძოდ, აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) ნომერი და თარიღი და კვალიფიკაცია მიზანშეწონილად მიგვაჩნია განისაზღვროს მის დიპლომში მისათითებელი სავალდებულო რეკვიზიტები.

აკადემიური ხარისხი განისაზღვროს რექტორის ბრძ N339,07.07.1965 წ. ბრძანებაზე დაყრდნობით: ფსიქოლოგის-ფსიქოლოგიის მასწავლებლის კვალიფიკაცია, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) ნომრად პირობითად განისაზღვროს ლიანა ჩოხელის კვალიფიკაციის მინიჭების ბრძანების ნომერი, რომელსაც წილადის შემდეგ დაემატება ასო „პ“ (339/პ) და თარიღად ამავე ბრძანების რიცხვი (07 ივლისი 1965). ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდება ბრძანებაში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილება განხორციელდება ინდივიდუალურად მომართვის შემთხვევაში.

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ საკითხს და დაამტკიცა ერთხმად.
მომხრე: 20
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

4. ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამისთვის განკუთვნილი ახალი არჩევითი კურსის "ფსიქოანალიზის ძირითადი ცნებები" სილაბუსის დამტკიცების შესახებ

ხარისხის მართვის სამსახურის უფროსმა, ასოც. პროფესორმა მანანა მელიქიშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ საბჭოს წინაშე დასამტკიცებლად შემოსულია ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამისთვის განკუთვნილი ახალი არჩევითი კურსის - "ფსიქოანალიზის ძირითადი ცნებები" - სილაბუსი. მომხსენებელმა განმარტა, რომ სილაბუსი სავსებით აკმაყოფილებს საერთო საუნივერსიტეტოს კრიტერიუმებს, მისი ძირითადი სასწავლო ლიტერატურა იძებნება ქართულ ენაზე და სთხოვა საბჭოს, მხარი დაეჭირა წარმოდგენილი ახალი არჩევითი კურსისთვის.

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ სილაბუსს და დაამტკიცა ერთხმად.
მომხრე: 20
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

5. სამაგისტრო პროგრამის „ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიური შეფასება და კონსულტირება“ სასწავლო საგანში – „ბავშვთა განვითარების დარღვევების დიაგნოსტიკა“ (შ. მამუკაძე) შეტანილი ცვლილებების დამტკიცება

ხარისხის მართვის სამსახურის უფროსმა, ასოც. პროფესორმა მანანა მელიქიშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ საბჭოს წინაშე დასამტკიცებლად შემოსულია სამაგისტრო პროგრამის „ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიური შეფასება და კონსულტირება“ სასწავლო საგანში – „ბავშვთა განვითარების დარღვევების დიაგნოსტიკა“ (შ. მამუკაძე) შეტანილია ცვლილებები, რომელიც შეეხება სტუდენტთა შეფასების კრიტერიუმებს და სთხოვა საბჭოს, მხარი დაეჭირა წარმოდგენილ ცვლილებებს.

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ სილაბუსს და დაამტკიცა ერთხმად.

მომხრე: 20

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

დაადგინეს:

1. დამტკიცდეს მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარში ცვლილებები წარმოდგენილი სახით;

2. ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტის 1977 წლის კურსდამთავრებულთა, მათ შორის თემურ იოსებაძის აკადემიური ხარისხად განისაზღვროს კვალიფიკაცია ფსიქოლოგი, ფსიქოლოგიის მასწავლებელი, სპეციალობით ფსიქოლოგია, სპეციალიზაცია ზოგადი ფსიქოლოგია. აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) ნომრად განისაზღვროს 4/პ, ხოლო თარიღად ამავე ბრძანების რიცხვი 13.07 (ოქმი№4/პ, 13 ივლისი 1977 წ.) ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდება ბრძანებაში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე და მათს დიპლომებში ცვლილება განხორციელდეს ინდივიდუალურად მომართვის შემთხვევაში;

3. ფილოსოფიის ფაკულტეტის 1965 წლის კურსმოსმენილთა (კურსდამთავრებულთა), მათ შორის ლიანა ჩოხელის აკადემიური ხარისხად განისაზღვროს ფსიქოლოგის-ფსიქოლოგიის მასწავლებლის კვალიფიკაცია, კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) ნომრად განისაზღვროს 339/პ, ხოლო თარიღად ამავე ბრძანების რიცხვი 07. 07 (ოქმი№339/პ, 07 ივლისი 1965წ.) ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდება ბრძანებაში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე და მათს დიპლომებში ცვლილება განხორციელდეს ინდივიდუალურად მომართვის შემთხვევაში;

4. დამტკიცდეს ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამისთვის განკუთვნილი ახალი არჩევითი კურსის - "ფსიქოანალიზის ძირითადი ცნებები" - სილაბუსი წარმოდგენილი სახით.

5. დამტკიცდეს სამაგისტრო პროგრამის „ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიური შეფასება და კონსულტირება“ სასწავლო საგანში – „ბავშვთა განვითარების დარღვევების დიაგნოსტიკა“ (შ. მამუკაძე) შეტანილი ცვლილებები.

სხდომის თავმჯდომარე: ასოც. პროფესორი
ხათუნა მარწყვიშვილი / ხ. მარწ /

სხდომის მდივანი: ასოცირებული პროფესორი
ზაქარია ქიტიაშვილი / ზ. ქიტ /